1944

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეშვიდე

№ 5-6 | Сборник приказов и распоряжений НКПроса Груз. ССР | 1944 წ.

1. გრძანება—1944-45 სასწავლო წლის დაწყების წინ მასწავლებელთა რაიონული მეთოდური თათბირების ჩატარების შესახებ.
2. დებულება—სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ.
3. К преподаванию русского языка во II классе начальных, семилетних и средних школах в 1944-45 уч. году.
4. გრძანება—1943-44 სასწავლო წელს საქართველოს სსრ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების შესახებ ქართულ ლიტერატურაში.
5. Приказ—О результатах проверки письменных работ по русскому языку учащихся X классов средних школ в конце 1943-44 уч. года.
6. გრძანება—1943-44 სასწავლო წელს საქართველოს სსრ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების შესახებ ალგებრაში.
7. გრძანება—პედაგოგიურ სასწავლებლებში სწავლების ვადის გაგრძელების შესახებ.
8. გრძანება—საქართველოს სსრ განსახკომის წინაშე სკოლებისა, განათლების განყოფილებებისა და ასსრ განსახკომების ანგარიშგების შესახებ.
9. გრძანება—საქართველოს სსრ ზოგიერთ ქალაქებში 1944-45 სასწავლო წელს ქალთა და ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლების შემოღების შესახებ.
10. გრძანება—1944-45 სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების შესახებ საქ. სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1944 წლის 22 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
11. გრძანება—1944-45 სასწავლო წლისათვის საქართველოს სსრ სკოლების მზადების მიმდინარეობის შესახებ.

თბილისი
1944

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1982

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 10 აგვისტო.

1944-45 სასწავლო წლის დაწყების წინ მასწავლებელთა რაიონული მეთოდური თათბირების ჩატარების შესახებ

მასწავლებელთა რაიონული მეთოდური თათბირების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით ვბრძანებ:

§ 1.

1. მასწავლებელთა რაიონული თათბირების პლენარულ სხდომებზე განხილულ იქნეს შემდეგი საკითხი:

1944-45 სასწავლო წლის ამოცანები. ამ საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ვრცლად უნდა იქნეს გაშუქებული:

ა) სკოლებში სწავლების დარგში სოციალისტური გაუქმების, მოსწავლეთა წესების, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ხუთნიშნიანი ციფრობრივი სისტემის შემოღების შესახებ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებების შესრულების შედეგები და 1944-45 სასწავლო წელში ამ დადგენილებათა განხორციელების ღონისძიებანი.

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 28 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ".

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის დადგენილების შესრულების შედეგები სასკოლო ასაკის 7—17 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ და ამ დადგენილების შემდგომი განხორციელების ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექციათა სხდომებზე განხილულ იქნეს:

1. **საკითხი ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების შესახებ.** ამ საკითხის განხილვისას კონკრეტულად უნდა იქნეს გამოვლინებული სასწავლო მუშაობაში სოცშეჯიბრის პრაქტიკის გაუქმებისა, მოსწავლეთა წესების, მოსწავლეთა ყოფაქცევისა და წარმატების შეფასების ხუთნიშნიანი ციფრობრივი სისტემის შემოღების შედეგად მოპოებული წარმატებანი და არსებული ნაკლოვანებანი ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების დარგში და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი 1944-45 სასწავლო წლისათვის აღნიშნულ დისციპლინებს სწავლების გადაჭრით გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

2. დამატებით განხილულ იქნეს:

ა) ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე საქართველოს სსრ განსახკომის 1944 წლის 5 აპრილის ბრძანება (№ 653) „საქართველოს სსრ დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ“ და 1944 წლის 15 მაისის ბრძანება (№ 1005) „არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე 1944 წლის 24 ივნისის ბრძანებანი 1943-44 სასწავლო წელში საქართველოს სსრ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების შესახებ ქართულ ლიტერატურასა და რუსულ ლიტერატურაში (იხ. განსახკომის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“, № 5-6) და ამ ბრძანებების განხილვის საფუძველზე დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი.

ბ) მათემატიკის მასწავლებელთა სექციაში — განსახკომის ბრძანება 1943-44 სასწავლო წელში საქართველოს სსრ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების შესახებ ალგებრაში (იხ. განსახკომის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“, № 5-6).

გ) ფიზიკის მასწავლებელთა სექციაში — განსახკომის ბრძანება „არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესახებ“ (იხ. განსახკომის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“, № 1 — 2).

დ) ბუნებისმეტყველების და ქიმიის მასწავლებელთა სექციაში — განსახკომის ბრძანებანი არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობის, თვალსაჩინოების გამოყენებისა და ლაბორატორული სამუშაოების ჩატარების შესახებ (იხ. განსახკომის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული", № 1 — 2).

ე) ისტორიის მასწავლებელთა სექციაში — განსახკომის ბრძანება (№ 4283, 1943 წ. 16 დეკემბრისა) და მითითებანი საქართველოს სსრ სკოლებში საქართველოს ისტორიის კურსის სწავლების შემოღების შესახებ.

§ 3.

1. მასწავლებელთა რაიონული თათბირების ორგანიზებულად და მომზადებულად ჩატარების მიზნით განათლების განყოფილებათა გამგეებმა მოიწვიონ დირექტორებისა და მასწავლებელთა აქტივის თათბირი, სადაც განიხილონ მეთოდური თათბირის დღის წესრიგი, გამოჰყონ და დააძტკიცონ მომხსენებლები და თანამომხსენებლები, გაუწიონ მათ სათანადო კონსულტაცია და უზრუნველჰყონ თათბირზე მათი მომზადებულად გამოსვლა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ა. წ. 15 სექტემბრამდე უზრუნველჰყოს ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებანი თათბირებისათვის სათანადო სახელმძღვანელო მასალებით.

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისრის მოადგილე მ. ბურჯულაძე

დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 28 ივლისის დადგენილებით.

დებულება

სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ

§ 1

გამოცდები სიმწიფის ატესტატზე ტარდება საშუალო სკოლის კურსის მოცულობით, უმაღლესი განათლების მისაღებად საჭირო ცოდნის სისრულისა და სიმტკიცის გამორკვევის მიზნით.

§ 2

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად დაიშვებიან:

ა) მოსწავლეები, რომელთაც გაიარეს საშუალო სკოლის კურსი და აქვთ წლიური ნიშნები მე-10 კლასში ყველა საგანში არანაკლებ „3"-სა, ხოლო ყოფაქცევაში ნიშანი „5";

ბ) 17 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელთაც საშუალო სკოლაში არ უსწავლიათ ან იგი არ დაუმთავრებიათ, მაგრამ სურთ მიიღონ სიმწიფის ატესტატი, — ექსტერნის წესით.

შენიშვნა: ექსტერნებისათვის გამოცდების ჩატარების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი.

§ 3

მოსწავლეები, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, აბარებენ გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე საშუალო სკოლის სრული კურსის მიხედვით, შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა;
2. ქართული ლიტერატურა;
3. რუსული ენა;
4. რუსული ლიტერატურა;
5. მათემატიკა:
   ა) ალგებრა,
   ბ) გეომეტრია,
   გ) ტრიგონომეტრია.
6. ფიზიკა;
7. ქიმია;
8. ისტორია:
   ა) სსრ კავშირის ისტორია,
   ბ) ახალი ისტორია,
   გ) საქართველოს ისტორია.
9. უცხო ენა.

შენიშვნები: 1. მოსწავლეები, რომლებიც არაქართულ საშუალო სკოლას ამთავრებენ, აბარებენ გამოცდებს მე-3 §-ით გათვალისწინებულ ყველა საგანში, გარდა ქართული ლიტერატურისა, რომლის ნაცვლად აბარებენ გამოცდას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში;

2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, ხოლო არაქართულ სკოლებში — დედა ენასა და ლიტერატურაში გამოცდები ტარდება წერითი და ზეპირი, ყველა დანარჩენ საგანში — მხოლოდ ზეპირი.

§ 4

სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ტარდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ — 20 მაისიდან 20 ივნისამდე.

§ 5

სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს აბარებს საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით: სკოლის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე), საგამოცდო საგნის მასწავლებელი, 2 ასისტენტი — უფროსი კლასების იმავე საგნის (ან მისი მონათესავე საგნების) მასწავლებელთა რიცხვიდან, საქართველოს სსრ განსახკომის, ან შესაბამისად — აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების ანდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

შენიშვნები: 1. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი პირები, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება.

2. საქართველოს სსრ განსახკომს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას შეუძლიათ შეიყვანონ საგამოცდო კომისიებში, როგორც ასისტენტები, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტების მასწავლებლები.

3. საქართველოს სსრ განსახკომის, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ არსებული დებულებისა და ინსტრუქციის დარღვევის შემთხვევაში მოვალეა შეაჩეროს გამოცდები და აცნობოს ეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ან შესაბამისად — აჭარის და აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს — სათანადო ზომების მისაღებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 6

სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ადგილზე ჩატარების მიზნით, იმ საშუალო სკოლებში, რომელთაც უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები არა ჰყავთ, საქართველოს სსრ განსახკომი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება გზავნიან საგამოცდო კომისიას.

იმ საშუალო სკოლებში კი, სადაც უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები არ არიან, ყველა იმ საგანში, რომლებიც სიმწიფის ატესტატის მისაღებად უნდა იქნეს ჩაბარებული, სახალხო განათლების განყოფილებანი გზავნიან სათანადო განათლების მქონე მასწავლებლებს ამ საგნებში გამოცდების ჩასატარებლად.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც სკოლის დირექტორს დამთავრებული უმაღლესი განათლება არა აქვს, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის შოვალეობას ასრულებს საქართველოს სსრ განსახკომის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი.

შენიშვნები: 1. საშუალო სკოლებს, რომელთაც გამოსაშვებ კლასში 15-ზე ნაკლები მოსწავლე ჰყავთ და ამავე დროს არ ჰყავთ სათანადო განათლების მქონე მასწავლებლები, — შეუძლიათ მოსწავლეები, სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად, გაგზავნონ იმ სკოლებში, რომლებსაც მათ მიუთითებს საქართველოს სსრ განსახკომი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება.

2. უცხო ენაში და აგრეთვე რუსულ ენაში არარუსულ სკოლებში, სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები შეიძლება ჩაატარონ იმ მასწავლებლებმა, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება სპეციალობის მიხედვით.

§ 7

გამოცდები სიმწიფის ატესტატზე იწყება წერითი სამუშაოთი (თხზულებით) ქართულ ენასა და ლიტერატურაში. წერითი სამუშაოს „3"-ზე ნაკლები ნიშნით შეფასებისას მოსწავლე შემდგომი გამოცდების ჩაბარებაზე არ დაიშვება.

შენიშვნა: არაქართულ სკოლებში გამოცდები იწყება წერითი სამუშაოთი (თხზულებით) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

§ 8

ცოდნის შეფასებას სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე განსაზღვრავს საგამოცდო კომისია. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში შეფასების საკითხი სწყდება ხმის უმეტესობით, ამასთან უმცირესობის აზრი უცილებლად უნდა ჩაიწეროს ოქმში; იმ შემთხვევაში კი, როდესაც საქართველოს სსრ განსახკომის, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განსახკომებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი ან კომისიის თავმჯდომარე არ ეთანხმება კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას, საკითხს სწყვეტენ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილების გამგე იმ მასალების საფუძველზე, რომლებსაც უდგენს მათ საგამოცდო კომისია.

§ 9

ის პირნი, რომელნიც ჩააბარებენ გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე, ითვლებიან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულებად და სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საგამოცდო კომისიის ოქმების საფუძველზე, იღებენ სიმწიფის ატესტატს სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა სასწავლო ნაწილში და მასწავლებელთა ხელმოწერით.

ატესტატში, გარდა საგამოცდო საგნებისა, შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი საგნები: ანტიური ქვეყნების ისტორია, საშუალო საუკუნეების ისტორია, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუცია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ასტრონომია, სამხედრო-ფიზიკური მომზადება, ხატვა და ხაზვა. ყოველ ამ საგანში ატესტატში აღნიშნულ უნდა იქნეს მოსწავლის მიერ იმ კლასში მიღებული შეფასება, რომელშიაც ეს საგანი დამთავრდა.

შენიშვნა: მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ ნიშნები „3" და „4" ამ საგნებში, რომელნიც არ შედიან სიმწიფის მოწმობის მისაღებ საგამოცდო საგნების რიცხვში, უფლება ეძლევათ სკოლის პედაგოგიური საბჭოს ნებართვით ჩააბარონ დამატებითი გამოცდები ამ საგნებში უფრო მაღალი შეფასების მისაღებად.

ამ დამატებითი გამოცდების ჩაბარება წარმოებს სწავლების უკანასკნელი წლის მეორე ნახევარში სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების დაწყებამდე, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდებისათვის არსებული ყველა წესის დაცვით.

§ 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, მოსწავლეები, რომლებიც სიმწიფის ატესტატზე გამოცდისას გამოიჩენენ საუკეთესო წარმატებას და ყოველ სასწავლო საგანში მიიღებენ „5"-ს, თუ ისინი ამავე დროს წარჩინებული ყოფაქცევისა არიან,—ჯილდოვდებიან ოქროს მედლით.

მოსწავლეები, რომლებიც სიმწიფის ატესტატის მისაღებად ყველა საგამოცდო საგანში მიიღებენ შეფასება „5"-ს, ხოლო დანარჩენ სასწავლო საგნებიდან არა უმეტეს სამისა შეფასება „4"-ს და ამავე დროს არიან წარჩინებული ყოფაქცევისა,—ჯილდოვდებიან ვერცხლის მედლით.

ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოებულ პირთ ეძლევათ განსაკუთრებული ნიმუშის სიმწიფის ატესტატი.

§ 11

გამოცდების დამთავრების შემდეგ საზეიმო აქტზე სკოლის დირექტორი აბარებს სიმწიფის ატესტატებსა და მედლებს იმ პირთ, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს.

§ 12

იმ პირთ,რომლებმაც სიმწიფის ატესტატი მიიღეს, უფლება აქვთ შევიდნენ სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

ოქროს მედლით დაჯილდოებულ პირთ უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების ჩაუბარებლად.

ვერცხლის მედლით დაჯილდოებული პირნი, რომლებმაც წარმატებით ჩაბარეს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელი გამოცდები, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებიან პირველ რიგში.

ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი, რომლებიც მიღებული არიან უმაღლეს სასწავლებლებში, უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით.

§ 13

საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც არ იქნენ დაშვებული სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე ან ვერ ჩააბარეს გამოცდები, გადიან სკოლებიდან და იღებენ მოწმობას, რომელშიაც აღნიშნულ უნდა

იქნეს საბოლოო შეფასებანი სკოლაში გავლილ ყველა სასწავლო საგნ-სა და ყოფაქცევაში.

იმ პირთ, რომლებმაც ვერ ჩააბარეს გამოცდები სიმწიფის ატესტატზე, უფლება ეძლევათ განმეორებით ჩააბარონ გამოცდები იმავე სკოლაში ერთი წლის შემდეგ.

იმ მოსწავლეებს, რომელნიც არ იქნენ დაშვებული სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე წარუმატებლობის გამო, უფლება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდები იმავე სკოლაში ერთი წლის შემდეგ დღიდან გამოცდების ჩაბარებისა იმ საგნებში, რომლებშიაც მათ „3"-ზე ნაკლები ნიშნები ჰქონდათ.

§ 14

ამ დებულების საფუძველზე საქართველოს სსრ განსახკომი ადგენს ინსტრუქციას სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდების შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე

К преподаванию русского языка во II классе начальных, семилетних и средних школах в 1944/45 учебном году

С начала 1944/45 учебного года в нерусских школах Грузинской ССР русскому языку по учебному плану отводится по два недельных часа, то-есть 66 годовых часов.

Отдельного учебника по русскому языку для второго класса в 1944/45 учебном году не будет. Второй класс будет пользоваться учебниками, предназначенными для III класса.

Об'ем работы учащихся II и III классов определяется различным количеством часов, отводимых русскому языку в них.

Учебник III класса учащимися данного класса должен быть осилен полностью.

Добукварные уроки по учебнику III класса рассчитаны на 31 час, то есть при 5 недельных часах в III классе вместе с повторением они заканчиваются приблизительно к 15—20 октября, а потом приступают к изучению азбуки.

Во II же классе, оставляя в силе 31 час, необходимый для лексических уроков, последние должны быть закончены к концу первого полугодия; со второго полугодия второй класс приступает к изучению азбуки (чтение

и письмо); параллельно, конечно, как в III классе, усиливается и укрепляется словарный запас учащихся. Во втором полугодии в II классе заканчивается изучение азбуки (чтение и письмо) в об'еме, указанном в учебнике III класса до материала „Уроки чтения" (учебник III кл., стр. 51, изд. 1942 г.).

Таков будет об'ем материала для II класса в 1944/45 учебном году. Для следующего 1945/46 учебного года будут изданы словари-минимумы для II и III кл., отдельные учебники для них; естественно, материал для каждого из них будет более конкретизирован.

В расписании уроков русскому языку во II классе отводится часы в понедельник и четверг (или во вторник—пятницу, среду—субботу), а в III и IV классах уроков по русскому языку не будет по четвергам.

Зам. начальника управления начальной и средней школы
Г. САРИШВИЛИ.

Инспектор-методист В. ДЕМУРИЯ.

ბრძანება № 1758

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 24 ივნისი

1943—44 სასწავლო წელს საქართველოს სსრ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების შესახებ ქართულ ლიტერატურაში

1943—44 სასწავლო წელს საქართველოს სსრ საშუალო სკოლების მიერ 5-ზე შეფასებულ კურსდამთავრებულთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების შემოწმებით დადასტურდა, რომ საშუალო სკოლების მოსწავლეთა წერითი მეტყველება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მოსწავლეთა დიდ ნაწილს კარგად აქვს გაგებული თემის დედააზრი, საგამოცდო წერით ნამუშევრებში ჩანს ლიტერატურული ტექსტების საფუძვლიანი ცოდნა და თემის დასაბუთების უნარი. მოსწავლენი სწორად იყენებენ ციტატებს, ლოგიკური თანმიმდევრობით შლიან თემას და დასკვნებიც სწორი გამოაქვთ. მოსწავლეთა დიდი ნაწილი დაუფლებულია სასვენი ნიშნების ხმარების წესს; მრავალი ნაშრომი დაწერილია სუფთად და კარგი კალიგრაფიული ხელით.

ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. თბილისის ქალთა მეექვსე და ვაჟთა მეშვიდე, ქ. ქუთაისის ქალთა პირველი, ქალთა მეოთხე, ბორჯომის

(ორჯონიკიძის რაიონი), ყვარელის პირველი, ვაჭრის (სიღნაღის რაიონი), ბახვის (მახარაძის რაიონი), აბაშის მეორე და მარანის (აბაშის რაიონი), უდეს (ადიგენის რაიონი), ლანჩხუთის (ლანჩხუთის რაიონი), როხის (მაიაკოვსკის რაიონი) და რუისპირის (თელავის რაიონი) საშუალო სკოლები.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, მრავალ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონე არადამაკმაყოფილებელია:

ა) მოსწავლეებს სუსტად აქვთ გაგებული თემის დედააზრი, ვერ ამჟღავნებენ ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენების ცოდნას; ასე მაგალითად, ბაკურიანის (ბორჯომის რ.) საშუალო სკოლის 5-ზე შეფასებულ კურსდამთავრებულთა წერითი ნამუშევარი (მასწ. ჭ. ხაჩიაშვილი) წარმოადგენს სხვადასხვა ლექსებიდან ამოკრეფილ სტროფების კრებულს, სათანადო დასაბუთებისა და დასკვნების გარეშე შედგენილს; იგივე ითქმის ორჯონიკიძის რაიონის კიცხის საშუალო სკოლის (მასწ. თ. ჯიქურიძე), ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერისა (მასწ. ს. ხუნდაძე) და ხევის (მასწ. ბ. მამალაძე), ხობის რაიონის შუა ხორგისა (მასწ. ტ. ტაბაღუა) და ძველი ხიბულის (მასწ. ალ. ახალაია), ჩხარის რაიონის თერჯოლისა (მასწ. ნ. მეგრელიშვილი) და ჩხარის (მასწ. ნ. ჯანელიძე) საშუალო სკოლების მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების შესახებ ქართულ ლიტერატურაში.

ბ) ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა თხზულებაში არ არის დაცული ნაწილთა ურთიერთ შეფარდება და სათანადოდ არ არის გამოყენებული ლიტერატურული წყაროები; ასეთია მაგალითად: ვანის რაიონის დ. ვანის კიროვის სახელობის საშუალო (მასწ. ო. ნიკოლეიშვილი), სალხინოს (მასწ. აკ. ჩახუნაშვილი), ამაღლების (მასწ. ალ. სურგულაძე), წალენჯიხის რაიონის ფახულანისა (მასწ. ლ. არაქიანი) და ჯვარის (მასწ. ვ. აკობია), კასპის რაიონის სასირეთის (მასწ. კ. ტატიშვილი), წითელ-ქალაქის (მასწ. ვ. კაკაურიძე), ქარელის რაიონის ქარელისა (მასწ. ნადირაშვილი) და ზღუდრის (მასწ. მ. კობულაშვილი), ქ. ქუთაისის ქალთა მეორე (მასწ. ვ. გუგუშვილი), ჩხარის რაიონის ქვედა ალისუბნისა (მასწ. დ. მაჭავარიანი) და ზედა სიმონეთის (მასწ. მ. ფორჩხიძე) სკოლების კურსდამთავრებულთა ნამუშევრები.

გ) ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავენ არაზუსტ და არასწორ ფრაზებს, შაბლონურ გამოთქმებს, მრავალსიტყვაობასა და ტავტოლოგიას. ასე მაგალითად, ჩოხატაურის რ. საჭამიასერის საშუალო სკოლის მოსწავლეები წერენ: „მათი სახელი მუდამ იცოცხლებს და იელვარებს ქარ-

თულ შემოქმედებაში", „საბჭოთა პოეტებმა თავისი ჯალამი სამამულო ქარიშხალს დაუპირისპირეს" და სხვ. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ილორის და ეწერ-მელაურის (სამტრედიის რაიონი), როდინოულისა და ძირულის (ზესტაფონის რაიონი), თერჯოლის (ჩხარის რაიონი), ოყურეშის (ცაგერის რაიონი), ქვემოჭალის (კასპის რაიონი) და სხვა საშუალო სკოლებში.

დ) მწერლის შემოქმედების ანალიზისა და მისი ნაწარმოებების განხილვისას ადგილი აქვს ქრესტომათიებიდან, კრიტიკული წერილებიდან და მოსწავლეთა მიერ ერთმანეთისაგან ტექსტის სიტყვა-სიტყვით გადაწერას, რის შედეგ ე წერით ნამუშევარში არ ჩანს მოსწავლის საკუთარი სახე, მისი ნამდვილი ცოდნა; ასე მაგალითად, კიცხის საშუალო სკოლის (ორჯონიკიძის რაიონი) მოსწ. გ-ს 40 სტრიქონი წიგნიდან აქვს სიტყვა-სიტყვით გადაწერილი; ამავე სკოლის მოსწ. მ-ს წიგნიდან გადაწერილი აქვს 27 სტრიქონი; ქ. ქუთაისის მეექვსე საშუალო სკოლის მოსწ. ვ-ს 73 სტრიქონი წიგნიდან თანმიყოლებით აქვს გადაწერილი; ამავე სკოლის მოსწ. ი-ს რვეულის ერთ გვერდზე წიგნიდან გადაწერილი აქვს 13 სტრიქონი; ხარაგოულის პირველი საშუალო სკოლის მოსწ. კ-ს 39 სტრიქონიდან გადაწერილი აქვს 33 სტრიქონი. მსგავსი მდგომარეობაა წითელ-წყაროს, კარდანახისა და ოფ. გურჯაანის (გურჯაანის რაიონი), ზნაკვის (ამბროლაურის რაიონი), სალხინოსა და შუაგორის (ვანის რაიონი), ზანის (ცხაკაიას რაიონი), წყალტუბოსა და მაღლაკის (წყალტუბოს რაიონი) და სხვა საშუალო სკოლებში.

ე) ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა წერითი ნამუშევარი შეიცავს მრავალ ორთოგრაფიული და სტილისტიკური ხასიათის შეცდომას, რომლებიც მასწავლებელთა მიერ არ არის შემჩნეული და გასწორებული. ასე მაგალითად, ქუთაისის ქალთა მეექვსე საშუალო სკოლის მოსწ. ი-ს წერით ნამუშევარში (მასწ. ნ. ვასაძე) მასწავლებლის მიერ შეუმჩნეველია 24 სხვადასხვა სახის შეცდომა; ხევის საშუალო სკოლის (მასწ. ბ. მამალაძე, ჩოხატაურის რ.) მოსწ. ბ-ს წერითი ნამუშევარში შეუმჩნეველია 25 სხვადასხვა სახის შეცდომა, ხოლო ამავე რაიონის განახლების საშუალო სკოლის (მასწ. ს. დოლიძე) მოსწ. ყ-ს წერით ნამუშევარში — 40. ასეთივე მდგომარეობაა ორჯონიკიძის რ. ხარაგოულის (მასწ. ი. ჩიკვაიძე) და კიცხის (მასწ. თ. ჯიქურიძე), გუმბრინის (წყალტუბოს რ., მასწ. შ. ბოჭორიშვილი) და წყალტუბოს (მასწ. მ. ბალანჩივაძე) საშუალო სკოლებში.

ვ) ზოგიერთი საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი არაკეთილსინდისიერად ეკიდება მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების შეფასების საქმეს და გადამეტებულად აფასებს ნაშრომს. კიცხის (ორჯონიკიძის რაიონი), საჭამიასერის, განახლებისა და ხევის (ჩოხატაურის რაიონი), ბაკურიანის (ბორჯომის რ.), ძველი ხიბულისა და შუა ხორგის (ხობის რაიონი), ქარელის, ქვემო საპანოს (ზესტაფონის რაიონი) საშუალო სკოლების მასწავლებელთა მიერ 5-ზე შეფასებული წერითი ნამუშევრები ფაქტიურად შესრულებულია 3-ზე.

ვბრძანებ:

მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის ამაღლების საქმეში სუსტი მუშაობისა და ამ დარგში საქართველოს სსრ განსახკომის დირექტივებისა და მითითებების შეუსრულებლობისათვის

1. მოიხსნას თანამდებობიდან:

ა) ხევის (ჩოხატაურის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწ. ბ. მამალაძე;

ბ) ბაკურიანის (ბორჯომის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწ. ქ. ხაჩიაშვილი;

გ) ძველი ხიბულის (ხობის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. აბალაია.

2. მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების საქმეში გულგრილობის გამოჩენისა და თვალის ახვევისათვის, ამასთან საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისათვის ჩამოყენებულ იქნან 5—7 კლ. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებად:

ა) საჭამიასერის (ჩოხატაურის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ს. ხუნდაძე;

ბ) განახლების (ჩოხატაურის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ს. დოლიძე;

გ) შუა ხორგის (ხობის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ტ. ტაბაღუა;

დ) კიცხის (ორჯონიკიძის რაიონი) საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. ჯაფურიძე.

3. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში სუსტი ხელმძღვანელობის გამო გამოეცხადოს საყვედური:

ა) ხევის (ჩოხატაურის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორს ვ. კალანდაძეს;

ბ) კიცხის (ორჯონიკიძის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორს ქ. წერეთელს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ბაკურიანის (ბორჯომის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორს ვლ. გეგუჩაძეს;

დ) შუა ხორგის (ხობის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორს ლ. ნასარიას;

ე) ძველი ხიბულის (ხობის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორს ს. ახალაიას;

ვ) საჭამიასერის (ჩოხატაურის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორს მ. გოგიტიძეს;

ზ) განახლების (ჩოხატაურის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორს ელ. კობიძეს.

4. ეს ბრძანება განხილულ იქნეს საქართველოს სსრ ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1944 წლის 22 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ს. კუპრაძე

ПРИКАЗ № 1760

по Народному Комиссариату Просвещения Грузинской ССР 24 июня 1944 г.

О результатах проверки письменных работ по русскому языку учащихся X классов средних школ в конце 1943—44 учебного года

Ознакомившись с итогами проверки испытательных письменных работ учащихся X классов нерусских средних школ Грузинской ССР по русскому языку, отмечаю, что учащиеся школ гор. Кутаиси, Поти, Зугдиди, Махарадзе, Чохатаури, Зестафони, Боржоми, Цителцкаро, Ланчхути, Ахалцихе, Цулукидзе, Самтредиа, а также многих средних школ: Свирской средней школы Чиатурского района (препод. Бицадзе), Сачамиасерской средней школы Чохатаурского района (препод. Чкуасели), Метехской средней школы Каспского района (преп. Ильина), Синатлиской средней школы Амбролаурского района (препод. Дохнадзе) и др. свободно излагают письменно пройденный материал, пишут культурно, работы преподавателями исправлены внимательно и в основном оценены правильно.

Наряду с этим, на основе анализа письменных работ выясняется, что преподавание русского языка в некоторых школах: Хандойская средняя школа Ахалкалакского района; Геджетская средняя шлола Цхакаевского района; Диликаурская и Сазанская средние школы Зестафонского района; Афенская средняя школа Лагодехского района; Лийская средняя школа Цаленджихского района; Хидиставская и Хевская средние школы Чохатаурского района; Кумбатская средняя школа Цалкинского района; Ахкерпская средняя школа Борчалинского района; Чолурская и Джахундарская средние школы Квемо-Сванетского района; Толебская средняя школа Самтредского района,—поставлено неудовлетворительно. Преподаватели этих школ мало упражняют учащихся в разговорной речи, не обращают внимания на словарную работу, письменные работы проводят в недостаточном количестве, при исправлении работ не обращают внимания на начертания букв; у учащихся этих школ нет навыков самостоятельного изложения мыслей письменно, пишут небрежно, не справляются с переносом слов, допускают много орфографических ошибок.

Преподаватели некоторых школ к исправлению и оценке работ относятся несерьезно, а в ряде случаев безответственно. Так, в Хандойской средней школе Ахалкалакского района препод. А. Геворкян совершенно не справляется с исправлением письменных работ: в работах двух отличников неисправленными остались не только отдельные орфографические ошибки, но и целые выражения, написанные неправильно: „испитательная," „Пушкинской взглядой", „первичное место", „Пушкин описывает Петроградской молодежа" и др. Также невнимательно исправлены преподавателем О. Очигава работы учащихся Геджетской средней школы Цхакаевского района. В Диликаурской средней школе Зестафонского района в работе ученика С. К. препод. С. Саладзе не исправлены свыше 20 разных ошибок и отдельных выражений. Такое же положение в Сазанской средней школе того же района (препод. Д. Саладзе).

Совершенно не исправлены работы учащихся Афенской средней школы Лагодехского района (препод. Давиташвили). Ученик этой школы А. Р. неправильно пишет свое имя и фамилию, не справляется с написанием таких слов, как *боялись* (пишет без „ь"), *говорить, письмо, когда, не пошел, против, некогда* и др.; эти и другие ошибки, имеющиеся в его работе, преподавателем не исправлены.

Совершенно не исправлены работы, оцененные отметкой 5, в Лийской средней школе Цаленджихского района (препод. В. Самушия), в Кумбатской средней школе Цалкинского района (препод. Ф. Икомонов), в Ахкерпской средней школе Борчалинского района (предпод. Маралян), Хидиставской и Хевской средних школах Чохатаурского района (препод. Джаши и Мамаладзе).

Кроме того в некоторых школах:

а) учащимся X классов вместо одной темы предложены две, а в отдельных школах даже три темы (в школах Кварельского, Карельского, Амбро-

лаурского, Чохатаурского, Цаленджихск. и др. районов). Напр. в Синатлисской средней школе Амбролаурского района предложены две темы („Песня о Соколе" и „Похищение Дуни", а в Чальской средней школе Цаленджихского района три темы (В. Маяковский, Н. Островский, М. Горький);

б) имеются факты грубого нарушения инструкции в виде уклонения от программного материала X класса; так, в Кинчхской средней школе Цулукидзевского района в X классе на выпускных испытаниях предложен материал 8 класса („Беглец"—Лермонтов); в Бретской средней школе Карельского района учащимся X класса предложена тема также из курса 8 класса („Как поссорились Иван Иванович с Иваном Никифоровичем").

Особо отмечаю, что, несмотря на предупреждение Наркомпроса, преподаватель Кацхской средней школы Чиатурского района Гамезардашвили не сумел правильно организовать работу.

Приказываю:

1. За слабую работу и невнимательное исправление испытательных работ учащихся выпускных классов:

а) сместить с должности преподавателя русского языка в старших классах средних школ преподавателей русского языка Геджетской средней школы С. Гегенава и Ахкерпской средней школы Маралян;

б) преподователям русского языка: Хандойской средней школы Ахалкалакского района—Геворкян, Диликаурской и Сазанской средних школ Зестафонского района Д. и С. Саладзе, Лийской средней школы Цаленджихского района—Самушия, Хидиставской и Хевской средних школ Чохатаурского района—Джаши и Мамаладзе, Кумбатской средней школы Цалкинского района Икомонову объявить строгий выговор.

в) преподавателя Кацхской средней школы Гамезардашвили предупредить, что, в случае неисправления в будущем работы с учащимся по русскому языку, он будет смещен с должности преподавателя русского языка в старших классах.

2. Директорам Геджетской, Лийской, Диликаурской, Кумбатской, Сазанской, Хевской, Хидиставской, Ахперской средних школ за слабое руководство постановкой преподавания русского языка поставить на вид.

3. Предложить Зав. ОНО преподавателей русского языка, поименованных в первом пункте данного приказа, направить на летние курсы в Боржоми.

4. Секции русского языка и литературы районных педагогических кабинетов перед началом нового учебного года широко обсудить состояние постановки преподавания русского языка в школах района и наметить необходимые мероприятия.

5. Зав. ОНО Цхакаевского и Борчалинского районов установить строгий контроль за работой преподавателей Гегенава и Маралян в 5-7 классах средней школы, и, в случае необеспечения ими соответствующей постановки преподавания русского языка, поставить вопрос перед

НКПросом об освобождении их от обязанности преподавателя русского языка.

6. Зав. СНО всех районов обсудить данный приказ на районных совещаниях, а в школах—на педагогическом совете и наметить конкретные мероприятия по улучшению работы по русскому языку с начала нового 1944-45 учебного года.

Основание: Постановление Коллегии Наркомпроса Грузинской ССР от 22 июня 1944 года.

Народный Комиссар
Просвещения Груз. ССР В. КУПРАДЗЕ

ბრძანება № 1759

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 24 ივნისი

1943-44 სასწავლო წელს საქართველოს სსრ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების შესახებ ანგარიში

გავეცანი რა საშუალო სკოლების მე-10 კლასების მოსწავლეთა 1943—44 სასწავლო წლის საგამოცდო წერითი ნამუშევრების შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის საშუალო სკოლების მოსწავლეთა დიდი ნაწილის მიერ ამოცანები ამოხსნილია სწორად,—მოხდენილია მიღებული ფესვების შემოწმება, წარმოებულია ფესვების ანალიზი, მაგალითების ამოხსნისას გამოყენებულია ამოხსნის რაციონალური ხერხი და წესიერადაა გაფორმებული ჩანაწერი.

ალგებრული ამოცანებისა და მაგალითების კარგი ამოხსნის ნიმუშებს იძლევიან ქ. ქუთაისის ქალთა მე-7 და ვაჟთა მე-8 (მასწავ. ქ. ტყეშელაშვილი, ლ. კაკაბაძე), ადიგენის რაიონის უდეს (მასწ. მ. კოპაძე), ქ. ფოთის 1-ლი, მე-2 და მე-6 (მასწ. ფ. ნადარეიშვილი, იოსელიანი), წყალტუბოს რაიონის მაღლაკის (მასწავ. თ. ნარჩემაშვილი), აბაშის რაიონის მარნის (მასწ. დუნდუა), წითელ-წყაროს ქართული (მასწ. მ. ნატროშვილი), ჭიათურის მე-3 (მასწ. ტ. ლაბაძე), ჭიათურის

რაიონის ხრეითის (მასწ. მ. აბდუშელიშვილი), სიღნაღის რაიონის ანაგისა და ვაქირის, ყვარელის პირველი და სხვა საშუალო სკოლები.

ამასთან ერთად ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები ალგებრაში არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული:

ა) არის შემთხვევები, რომ საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა ამოცანებისა და მაგალითების პირობების გაგებისა და მათი ამოხსნის ხერხის შერჩევის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს. მაგალითად, ყვარელის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებს (მასწ. დ. სეფიაშვილი) განტოლების შედგენისას დაშვებული აქვთ უხეში ხასიათის შეცდომები, რომლებიც მასწავლებლის მიერ გაუსწორებლად არის დატოვებული. ამოცანები და მაგალითები ვერ ამოხსნეს აგრეთვე ცაგერის რაიონის ოყურეშის (მასწ. ა. მანდარია), ამბროლაურის რაიონის სადმელის (მასწ. ი. ჭელიძე), ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს (მასწ. გრ. კაპანაძე), ცხაკაიას რაიონის ლეძაძამის (მასწ. ვ. დანელია) და ქარელის რაიონის რუისის (მასწ. ნ. კაკაშვილი) საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა.

ბ) ზოგიერთი სკოლის მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში არ არის მოცემული დასაბუთებული ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება იძლევა განტოლების შედგენის საშუალებას. მაგალითად, სამტრედიის რაიონის საჯევახოს საშუალო სკოლის (მასწ. კ. ანანოვა) მე-10 კლასის ვერც ერთი მოსწავლე ვერ უთითებს ამოცანის იმ პირობებზე, რომელთა მიხედვით შესაძლებელია განტოლების შედგენა. განტოლების შედგენისას სუსტ ახსნა-განმარტებებს იძლევიან ხოტევის (ამბროლაურის რაიონი, მასწავ. დ. აბუთიძე), წალენჯიხის (მასწ. ი. ჭანტურია), კულაშის (სამტრედიის რაიონი, მასწ. ტ. ფესვიანიძე), ფოთის მე-3 (მასწ. ტ. დუდუჩავა) და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლის მოსწავლეები.

გ) ზოგან ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ფესვების ანალიზს და მიღებული ფესვების შემოწმებას ამოცანის პირობების მიხედვით: წულუკიძის რაიონის გოჩა-ჯიხაიშის (მასწავ. პაპავა), ზუგდიდის რაიონის რუხის (მასწავ. ა. ოკუჯავა), კასპის რაიონის ლამისყანის, ქარელის რაიონის ავლევის (მასწ. ა. გელაშვილი), ამბროლაურის რაიონის სხვავის და ვანის რაიონის სალხინოს საშუალო სკოლები.

დ) ზოგიერთი მასწავლებელი არაკეთილსინდისიერად ეკიდება წერითი ნამუშევრების გასწორების საქმეს, წერით ნამუშევრებში მრავალი ფაქტიური შეცდომა გაუსწორებლად არის დატოვებული. მაგალითად, ყვარელის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებლის მიერ 7 ნა-

მუშევარში 52 შეცდომიდან გაუსწორებელია 50 უხეში შეცდომა; ყვარელის რაიონის შილდის საშუალო სკოლაში 11 მოსწავლის ნამუშევარში არაა გასწორებული 44 სხვადასხვა ტიპის უხეში შეცდომა; ცაგერის რაიონის ოყურეშის საშუალო სკოლის მიერ წარმოდგენილი 4 მოსწავლის წერით ნამუშევრებში დაშვებული 18 ფაქტიური შეცდომიდან მასწავლებლის მიერ არც ერთი არაა გასწორებული.

ე) მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ლიბერალიზმისა და თვალისახვევის პრაქტიკას. მაგალითად, ყვარელის მე-2 საშუალო სკოლის მიერ წარმოდგენილ 5-ზე შეფასებული 7 ნამუშევარიდან ყველა ფაქტიურად 2-ზეა შესრულებული. 2-ზეა აგრეთვე შესრულებული ყვარელის რაიონის შილდის საშუალო სკოლის 11 მოსწავლის, ცხაკაიას რაიონის ლეძაძამის საშუალო სკოლის 4 მოსწავლის, წყალტუბოს რაიონის გუმბრინის საშუალო სკოლის 5 მოსწავლის, ცაგერის რაიონის ოყურეშის საშუალო სკოლის 4 მოსწავლის ნამუშევარი. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ხობის რაიონის ძველი ხიბულისა და შუაქვალონის, ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს, ქვემო-სვანეთის რაიონის ჟახუდრისა და ჩოლურის საშუალო სკოლებშიაც.

ვ) არის შემთხვევები, რომ წერითი ნამუშევრები სიტყვა-სიტყვით გადაწერილია და მასწავლებელი ამ მდგომარეობას არ აქცევს ყურადღებას. ერთმანეთისაგან აქვთ გადაწერილი ამოცანები და მაგალითები ყვარელის მე-2 საშუალო, ყვარელის რაიონის შილდის, წყალტუბოს რაიონის გუმბრინის, სამტრედიის რაიონის საჯევახოს, ქვემოსვანეთის რაიონის ჟახუდრისა და ჩოლურის, ცაგერის რაიონის ოყურეშის, წალენჯიხის რაიონის ჯვარისა და ფახულანის საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

ვბრძანებ:

1. ალგებრის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა, წერით ნამუშევრებში მოსწავლეთა მიერ დაშვებული ფაქტიური შეცდომების გაუსწორებლობისა და წერითი ნამუშევრების არასწორად შეფასებისათვის, ჩამოყენებულ იქნან 1944 წლის 20 აგვისტოდ: ნარასრულ საშუალო სკოლის მასწავლებლებლად:

ა) ყვარელის მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი დ. სეფიაშვილი;

ბ) ცაგერის რაიონის ოყურეშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ა. მანდარია;

გ) ხობის რაიონის ძველი ხიბულისა და შუაქვალონის საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებლები ტ. ბასილაია, დ. ბაბუნაშვილი;

დ) ამბროლაურის რაიონის სადმელის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ი. ჭელიძე.

2. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასების ნიშნების ხელოვნურად გაზრდისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური:

ა) ყვარელის რაიონის შილდის საშუალო სკოლის დირექტორს მარიამ ილიას ასულ ნერსესაშვილს;

ბ) ცაგერის რაიონის ოყურეშის საშუალო სკოლის დირექტორს ვარლამ ფილიპეს-ძე ხინთიბიძეს;

გ) ხობის რაიონის შუაქვალონის საშუალო სკოლის დირექტორს ნოე ლევანის-ძე კაკაშვილს;

დ) ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს საშუალო სკოლის დირექტორს გენადი ისაიას-ძე კობახიძეს;

ე) ამბროლაურის რაიონის სადმელის საშუალო სკოლის დირექტორს პასიკო გალაქტიონის ასულ ჯაფარიძეს.

3. ალგებრაში წლიური საგამოცდო წერითი ნამუშევრების არადამაკმაყოფილებლად გასწორებისა და წერითი ნამუშევრების გადამეტებულად შეფასებისათვის გამოეცხადოს საყვედური:

ა) ამბროლაურის რაიონის სინათლისა და ხოტევის საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებლებს ვ. კობახიძეს, დ. აბუთიძეს;

ბ) წალენჯიხის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ი. ჭანტურიას;

გ) სამტრედიის რაიონის კულაშის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ტ. ფესვიანიძეს;

დ) ფოთის მე-3 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ტ. დუდუჩავას;

ე) ცხაკაიას რაიონის ლეძაძამის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ვ. დანელიას;

ვ) სამტრედიის რაიონის საჯევახოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს კ. ანანოვს;

ზ) ყვარელის რაიონის შილდის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ა. კოზმავას;

თ) წყალტუბოს რაიონის გუმბრინის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ლ. კინწურაშვილს.

4. აღინიშნოს ყვარელის, ცაგერის, ზესტაფონის, აბბროლაურის, წყალტუბოს, სამტრედიის, ცხაკაიას და ქვემო-სვანეთის განათლების განყოფილებათა გამგეების სუსტი ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლებზე მათემატიკის სწავლების საქმეში და დაევალოს მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ სკოლებში მათემატიკის სწავლების შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის დირექტივების ზუსტად განხორციელებას და უზრუნველჰყონ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

5. ეს ბრძანება განხილულ იქნეს საქართველოს სსრ რესპუბლიკის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე 1944 წლის აგვისტოში და მის საფუძველზე გატარდეს შესაბამისი ღონისძიებანი.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1944 წ. 22 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე

ბრძანება № 2098

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 17 აგვისტო

საქართველოს სსრ პედაგოგიურ სასწავლებლებში სწავლების ვადის გადიდების შესახებ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წ. 11 აგვისტოს დადგენილების განხორციელების მიზნით **ვბრძანებ:**

1. 1944—45 სასწავლო წლიდან შემოღებული იქნეს სწავლების ოთხწლიანი კურსი ბათუმის, გორის, მახარაძის, ზესტაფონის, სიღნაღის, ქუთაისის, ცხაკაიას, წულუკიძის, ხაშურისა და ქ. ობილისის ქართულ პედაგოგიურ სასწავლებლებში, ხოლო 1945—46 წლიდან დანარჩენ 19 პედაგოგიურ სასწავლებელში.

2. ქართულ პედაგოგიურ სასწავლებლებში სწავლების ოთხწლიანი კურსის შემოღებასთან დაკავშირებით დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს პედაგოგიური სასწავლებლების ჯგუფის ხელ-

მძღვანელად დაინიშნოს იმავე სამმართველოს ქართული ენისა და ლიტერატურის ინსპექტორი ამხ. არჩილ ესტატეს-ძე ჩაჩიბაია.

3. დაევალოს ამხ. არჩილ ჩაჩიბაიას პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად 5 დღის ვადაში დაამუშაოს ოთხწლიან პედაგოგიურ სასწავლებლებისათვის სასწავლო გეგმები, ხოლო 5 სექტემბრამდე—ცალკე სასწავლო დისციპლინების პროგრამები და წარმოუდგინოს ისინი განსახკომის კოლეგიას დასამტკიცებლად.

4. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს უზრუნველჰყოს 15 სექტემბრამდე პედაგოგიური სასწავლებლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დაბეჭდვა და ადგილებზე დაგზავნა.

5. დაევალოს ქ. ბათუმის, გორის, მახარაძის, წულუკიძის, ზესტაფონის, სიღნაღის, ქუთაისის, ცხაკაიას, ხაშურის და თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) 10 სექტემბრამდე გადასინჯონ პედაგოგიური სასწავლებლების პედაგოგთა შემადგენლობა, დააკომპლექტონ ისინი კვალიფიციური და გამოცდილი მასწავლებლებით და პროექტი წარმოადგინონ განსახკომში დასამტკიცებლად;

ბ) 1 სექტემბრამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ პედაგოგიური სასწავლებლების შენობები, საკლასო ოთახები, სასწავლო კაბინეტები, სასკოლო ბიბლიოთეკები, სამასწავლებლოები, სასწავლებლის ეზოები და მოამზადონ ყველა საჭირო პირობა მეცადინეობის ნორმალურად დაწყებისათვის.

6. დაევალოს კადრების სამმართველოს პედაგოგიურ სასწავლებლებისათვის შეარჩიოს დამატებით საჭირო კვალიფიციური პედაგოგიური კადრები, უზრუნველჰყოს მათი დროულად დანიშვნა და ადგილზე გამგზავრება.

7. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს 5 დღის ვადაში შეადგინოს 1945 წლისათვის ამ ბრძანების 1 მუხლით გათვალისწინებული პედაგოგიური სასწავლებლების ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი და წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

8. ვავალებ დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსს ამხ. უ. ობოლაძეს თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას და შედეგი მომახსენოს 20 სექტემბრისათვის.

საქართველოს სსრ განსახკომის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2341

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წ. 30 აგვისტო

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე სკოლებისა, განათლების განყოფილებებისა და ასსრ განსახკომების ანგარიშგების შესახებ

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების, განათლების განყოფილებებისა და ასსრ განსახკომების ანგარიშგების საქმის მოწესრიგების მიზნით **ვბრძანებ:**

§ 1. დაწესდეს, რომ

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლები სასწავლო წლის განმავლობაში განათლების განყოფილებებს სამჯერ უდგენენ ანგარიშს შემდეგ ვადებში: **სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შესახებ** — 10 ნოემბრამდე, **სასწავლო წლის პირველი ნახევრის შესახებ** — 5 იანვრამდე, **მთელი სასწავლო წლის შედეგების შესახებ** — 30 **ივნისამდე;**

ბ) ასევე განათლების განყოფილებანი და ასსრ განსახკომები საქართველოს სსრ განსახკომს 1944 — 45 სასწავლო წლის განმავლობაში სამჯერ უდგენენ ანგარიშს შემდეგ ვადებში: **სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შესახებ** — 20 ნოემბრამდე, **სასწავლო წლის პირველი ნახევრის შესახებ** — 20 იანვრამდე **და მთელი სასწავლო წლის შედეგების შესახებ** — 10 ივლისამდე;

გ) მოხსენებებში მოცემული ყველა დებულება დადასტურებული უნდა იქნეს კონკრეტული ფაქტებით, ზუსტად იქნეს მითითებული სკოლა, სკოლის დირექტორისა, მასწავლებლისა და სკოლის სხვა მუშაკის გვარი და სახელი.

§ 2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, ყველა რაიონული და საქალაქო განათლების განყოფილების გამგეს:

ა) ანგარიშების შედგენის დროს მტკიცედ დაიცვან ამ ბრძანების § 1 დაწესებული ვადები და აგრეთვე ანგარიშები ზუსტად, იმ კითხვებისა და თანმიმდევრობის მიხედვით შეადგინონ, რაც დაწესებულია საამისო სქემებით (იხ.

.ართი № 1, № 2, № 3);

ბ) საქართველოს სსრ განსახკომში წარმოსადგენი ანგარიშები, ავგენ სკოლების შემოწმების შედეგად დაზუსტებული მასალებისა და სკოლის დირექტორების (გამგეების) მიერ წარმოდგენილი და სათანადოდ შემოწმებული წერილობითი მოხსენებების საფუძველზე;

გ) გაატარონ გადამჭრელი ზომები, რათა სკოლებიდან დადგენილ ვადებში მიიღონ ანგარიშები, და იმ სკოლის დირექტორს (გამგეს), რომელიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდება განათლების განყოფილებაში ანგარიშის წარმოდგენის საქმეს, დაადონ სათანადო სასჯელი.

§ 3. სკოლების მუშაობის შესახებ სხვა ცნობების მოთხოვნა, გარდა ამ ბრძანების § 1 დაწესებული ანგარიშებისა, განსახკომის ნებართვის გარეშე აკრძალული იქნეს.

§ 4. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ სისტემატურად გაუწიოს კონტროლი განათლების განყოფილებებსა და სკოლებს ამ ბრძანების შესრულებაში.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე მ. ბურჯულაძე

ს ქ ე მ ა

სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგების ანგარიშის შესადგენად

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორები ვალდებულნი არიან 10 ნოემბრამდე წარუდგინონ განათლების განყოფილებას წერილობითი ანგარიში პირველი მეოთხედის განმავლობაში სკოლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ. სკოლების გამოკვლევის მასალებისა და სკოლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე ავტონომიური სსრ განსახკომები და განათლების განყოფილებანი ანგარიშს უდგენენ განსახკომს არაუგვიანეს 20 ნოემბრისა.

ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვების მიხედვით შედგენილ ანგარიშში მოცემული ყველა დებულება დასაბუთებული უნდა იქნეს კონკრეტული ფაქტებით, უნდა იქნეს მითითებული სკოლა, სკოლის დირექტორისა, მასწავლებლისა და სკოლის სხვა მუშაკის გვარი და სახელი.

1. სასწავლო წლისათვის მზადების შედეგები.

ა) რამდენი სასკოლო შენობა იქნა შეკეთებული კაპიტალურად, რამდენი სკოლის შენობას გაუკეთდა მიმდინარე რემონტი და რამდენი სკოლა დარჩა საერთოდ შეუკეთებელი;

ა) რამდენი ახალი მერხი, დაფა, მაგიდა და კარადა იქნა შეძენილი, რამდენად არიან სკოლები უზრუნველყოფილნი სასკოლო დგამ-ავეჯით; რომელ სკოლას აკლია დგამ-ავეჯი, რა სახისა და რა რაოდენობით;

ბ) რა რაოდენობით იქნა სკოლებში მიზიდული სათბობი; რამდენად არიან სკოლები უზრუნველყოფილნი სათბობით;

დ) რა დახმარება აღმოუჩინეს სკოლებს საალმშენებლო მასალებით ადგილებზე და როგორი იყო კოლმეურნეობებისა და უფროსი კლასების მოსწავლეების შრომითი მონაწილეობა სკოლის კეთილმოწყობაში.

2. **საყოველთაო-სავალდებულო სწავლება.**

ა) რამდენი მოსწავლე უნდა ყოფილიყო ჩაბმული სულ სკოლებში 1 სექტემბრიდან; მათგან 1—4 კლასებში, მე-5—7 კლ., მე-8—10 კლ. ცალ-ცალკე;

ბ) სასწავლო წლის I მეოთხედის ბოლოს საკლასო ჟურნალების მიხედვით რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სულ სკოლებში; მათგან 1—4 კლ., მე-5—7 კლ. და მე-8—10 კლ. ცალ-ცალკე;

გ) სკოლიდან ჩამოცილებული რამდენი მოსწავლე იქნა ჩაბმული სწავლებაში, რამდენი დარჩა კვლავ სკოლის გარეთ და რა მიზეზით.

3. **სკოლების უზრუნველყოფა პედაგოგიური კადრებით.**

ა) რამდენად არიან სკოლები უზრუნველყოფილნი კადრებით, რომელ სკოლებს აკლია მასწავლებლები და რა სასწავლო დისციპლინებში;

ბ) როგორ ტარდება ცხოვრებაში მთავრობის დადგენილებანი მასწავლებელთა უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობის შესახებ.

4. **სკოლების უზრუნველყოფა სახელმძღვანელო წიგნებით, რვეულებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.**

რა მდგომარეობაშია სკოლების უზრუნველყოფის საქმე სახელმძღვანელო წიგნებითა და სასწავლო ნივთებით, კერძოდ:

ა) რამდენი ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელო წიგნი შეისყიდეს სკოლებმა;

ბ) რამდენი ახლადგამოცემული სახელმძღვანელო მიეცა მთლიანად სკოლებს და საშუალოდ რამდენი ახალი სახელმძღვანელო მოდის თითოეულ მოსწავლეზე;

გ) რამდენი რვეული, ფანქარი, კალამი, მელანი, ცარცი მიეცა სკოლებს, საშუალოდ რამდენი რვეული მოდის თითოეულ მოსწავლეზე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში;

დ) რამდენი ახალი წიგნი შეემატა სასკოლო ბიბლიოთეკებს;

ე) რა სახის იარაღ-მოწყობილობითა და მასალებით იქნა შეიარაღებული სასწავლო კაბინეტები.

5. **სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.**

ა) რა მიღწევა და რა ნაკლი ახასიათებს ცალკე სასწავლო დისციპლინების — დედა ენისა და ლიტერატურის, რუსული ენის, უცხო ენების, ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიისა და სხვათა სწავლების საქმეს;

ბ) როგორ ტარდება სკოლაში „მოსწავლეთა წესები", მათი ცალკეული მუხლები.

6. **კლასგარეშე მუშაობა.**

ა) რა ღონისძიებებია გატარებული კლასგარეშე კითხვის, ბავშვთა გართობისა და დასვენების, შრომითი აღზრდისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობის დარგებში;

ბ) როგორ მუშაობენ სკოლაში არსებული წრეები;

გ) როგორ მუშაობს სკოლაში არსებული პიონერული ორგანიზაცია.

7. **ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისა და ფრონტელთა-შვილებისადმი დახმარება.**

რა ნაბიჯებია გადადგმული კონკრეტულად ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისა და ფრონტელთა შვილებისადმი დახმარების საქმეში (დახმარება კვებით, სურსათ-სანოვაგით, სამრეწველო საქონლით, სასწავლო ნივთებით, შრომითი მონაწილეობით მათ ოჯახებში).

ს ქ ე მ ა

სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების ანგარიშის შესადგენად

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორები ვალდებული არიან 10 იანვრამდე წარუდგინონ განათლების განყოფილებას წერილობითი ანგარიში სასწავლო წლის პირველ ნახევარში სკოლებში ჩატარებული მუშაობის შესახებ. სკოლების გამოკვლევის შედეგებისა და სკოლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, ავტონომიური სსრ განსახკომები და განათლების განყოფილებანი ანგარიშს უდგენენ განსახკომს არაუგვიანეს 20 იანვრისა.

ქვევით ჩამოთვლილი კითხვების მიხედვით შედგენილ ანგარიშში მოცემული ყველა დებულება დადასტურებული უნდა იქნეს კონკრე-

ტული ფაქტებით, უნდა იქნეს მითითებული სკოლა, სკოლის დირექ-
ტორისა, მასწავლებლისა და სკოლის სხვა მუშაკის გვარი და სახელი.

1. **საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარება.**

ა) რამდენი მოსწავლე უნდა ყოფილიყო ჩაბმული 1 სექტემბრ ,ან სკოლებში სულ; მათგან 1 — 4 კლ., მე-5 — 7 კლ., მე-8 — 10 კლ. ცალ-ცალკე;

ბ) რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლებში საკლასო ჟურნალების მიხედვით დეკემბრის დასასრულს სულ; მათგან 1—4 კლ., მე-5—7 კლ., მე-8 — 10 კლ. ცალ-ცალკე;

გ) სხვა რაიონიდან ან ქალაქიდან რამდენი მოსწავლე იქნა მიღებული სასწავლო წლის I ნახევარში;

დ) წინა წლებში განთესილი რამდენი მოსწავლე დაუბრუნდა სკოლას;

ე) რამდენი მოსწავლე ჩამოშორდა სკოლას სასწავლო წლის პირველი ნახევრის განმავლობაში და რა მიზეზით (სხვა ქალაქში, რაიონში ან რესპუბლიკაში გადასვლა, სპეციალურ სკოლაში გადასვლა, ავადმყოფობა, ოჯახური პირობები, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის უქონლობა, სიკვდილიანობა, უმიზეზოდ ჩამოშორება); რა ზომები იქნა მიღებული სკოლებიდან მოსწავლეთა ჩამოშორების აღსაკვეთად.

2. **მოსწავლეთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა.**

მოკლედ აღწერეთ, როგორ ტარდება ცხოვრებაში მოსწავლეთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობის შესახებ მთავრობის დადგენილებანი და დირექტივები.

3. **სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.**

ა) როგორ დგას სასწავლო დისციპლინების — მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენის, ქართული ენის (არაქართულ სკოლებში), ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და სხვ. სწავლება. ცალ-ცალკე დაახასიათეთ, თუ როგორ უკავშირებენ ამ სასწავლო დისციპლინების სწავლებას მასწავლებლები საალმზრდელო ამოცანებს, აღნიშნეთ კარგი მაგალითები, ასევე მიუთითეთ ძირითადი ნაკლის შესახებ;

ბ) დაახასიათეთ, თუ როგორ ხორციელდება სკოლებში ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის სწავლების დროს თვალსაჩინოებისა და ექსპერიმენტების გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის დირექტივები, აღნიშნეთ მასწავლებლების მუშაობის კარგი და ცუდი მაგალითები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) როგორ მიმდინარეობს სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შეფასება, რა მიღწევებია მოპოვებული და რა ნაკლი ახასიათებს სკოლებს ამ დარგში;

დ) როგორ ხორციელდება „მოსწავლეთა წესები" სკოლაში ცალკე მუხლების მიხედვით. დაახასიათეთ „წესების" დანერგვის ხაზით კარგი ნიმუშები, მიუთითეთ კონკრეტული ნაკლის შესახებ;

ე) დაახასიათეთ კლასის ხელმძღვანელების მუშაობა, აღნიშნეთ კონკრეტულად აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მოპოვებული მიღწევები და მიუთითეთ ნაკლზე.

4. სკოლისა და მასწავლებლის მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა.

ა) რამდენი სკოლაა განათლების განყოფილების მიერ ნახევარი წლის განმავლობაში შემოწმებული და რა სახით (სკოლის მთლიანი შემოწმება, ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების შემოწმება და სხვ.);

ბ) რა სახით ხდებოდა შემოწმების შედეგების განზოგადება — რა მითითებანი მიეცა სკოლას და მასწავლებელს შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად;

გ) როგორაა სკოლებში დირექტორისა (გამგისა) და სასწავლო ნაწილის გამგის მიერ მასწავლებელთა მუშაობაში დახმარებისა და კონტროლის საქმე;

დ) დაახასიათეთ მოკლედ რაიონის (ქალაქის) პედაგოგიური კაბინეტის მუშაობა.

5. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.

ა) რა სახის წრეები არსებობს სკოლაში; დაახასიათეთ მათი მუშაობა;

ბ) როგორ არის დაყენებული კლასგარეშე კითხვა; დასახელეთ სკოლები, სადაც კარგად მუშაობს სასკოლო ბიბლიოთეკა და ისეთი სკოლებიც, სადაც ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა;

გ) როგორ არის მოწყობილი მოსწავლეთა კინო-თეატრებსა და სხვა სანახაობებში დასწრების საქმე;

დ) რა სახის მუშაობას აწარმოებენ კლასგარეშე დაწესებულებები — ბავშვთა ტექნიკური სადგური, პიონერთა და მოსწავლეთა კლუბები და სხვა. რა მიღწევები გააჩნიათ მათ და რაში მდგომარეობს ნაკლი.

6. საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა.

ა) რა სახისა და რა რაოდენობით შეაგროვეს სკოლებმა საჩუქრები წითელი არმიისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

. ბ) რა რაოდენობით შეგროვდა სამკურნალო მცენარეები;

გ) რა დახმარება გაეწია ფრონტელთა შვილებსა და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს (დახმარება კვებით, სურსათ-სანოვაგით, სამრეწველო საქონლით, სასწავლო ნივთებით, შრომითი მონაწილეობით მათ ოჯახებში).

ს ქ ე მ ა

სასწავლო წლის განმავლობაში სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშის შესადგენად

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორები ვალდებულნი არიან 30 ივნისამდე წარუდგინონ განათლების განყოფილებას წერილობითი ანგარიში წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ. სკოლების გამოკვლევის მასალებისა და სკოლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, ავტონომიური სსრ განსახკომები და განათლების განყოფილებანი წლიურ ანგარიშს უდგენენ განსახკომს არაუგვიანეს 10 ივლისისა.

ქვევით ჩამოთვლილი კითხვების მიხედვით შედგენილ მოხსენებებში მოცემული ყველა დებულება დასაბუთებული უნდა იქნეს კონკრეტული ფაქტებით, უნდა იქნეს მითითებული სკოლა, სკოლის დირექტორისა, მასწავლებლისა და სკოლის სხვა მუშაკის გვარი და სახელი.

1. საყოველთაო-სავალდებულო სწავლება

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების უზრუნველსაყოფად განათლების განყოფილებებისა და სკოლების მიერ გატარებულ ღონისძიებათა მოკლე დახასიათება:

ა) რამდენი მოსწავლე უნდა ყოფილიყო სულ ჩაბმული მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან სკოლებში; მათგან 1—4 კლ., 5—7 კლ., 8—10 კლ. ცალ-ცალკე;

ბ) რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სულ სკოლებში სასწავლო წლის დასაწყისში საკლასო ჟურნალების სიების მიხედვით; მათგან 1—4 კლ., 5—7 კლ., 8—10 კლ. ცალ-ცალკე;

გ) რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა 20 მაისისათვის; მათგან 1—4 კლ., 5—7 კლ., 8—10 კლ. ცალ-ცალკე;

დ) წინა წლებში განთესილ მოსწავლეთაგან წლის განმავლობაში რამდენი მოსწავლე იქნა სკოლაში დაბრუნებული;

ე) წლის განმავლობაში რამდენი მოსწავლე ჩამოშორდა სკოლას (ასაკის მიზეზით (სხვა რაიონში გადასვლა, ავადმყოფობა, ოჯახური პირობები, სიკვდილიანობა, ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის უქონლობა და სხვ.).

2. მასწავლებელთა კადრები

ა) რომელ სასწავლო საგანში აკლდა მასწავლებლები რაიონს ხანგრძლივი (ორ თვეზე მეტი) დროის განმავლობაში;

ბ) როგორ ხორციელდებოდა სადირექტივო ორგანოების დადგენილება მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმის შესახებ, — რამდენი მასწავლებელი უნდა ყოფილიყო ჩაბმული და რამდენი სწავლობს ფაქტიურად; რა დახმარება ეწეოდა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებლებს;

გ) როგორ სრულდებოდა მთავრობის დადგენილებანი და დირექტივები მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობის შესახებ: კომუნალური მომსახურება — ბინა, განათება, გათბობა; სამრეწველო საქონლითა და სურსათ-სანოვაგით მომარაგება; ხელფასის დროულად გაცემა და სხვ.

3. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა

1. ანგარიშის ამ თავში დაწვრილებით უნდა გამუქდეს საკითხი, თუ როგორ არის შესრულებული პროგრამები სასწავლო საგნებში, რა მიღწევებია მოპოებული და რაში მდგომარეობს ნაკლი.

ცალკე საგნების სწავლების მდგომარეობის დახასიათებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მომენტებს:

ა) მშობლიურ, რუსულ (არარუსულ სკოლებში), ქართულ (არაქართულ სკოლებში) და უცხო ენებსა და მშობლიურ ლიტერატურაში იმის დახასიათებას, თუ რამდენად მტკიცეა წერისა და კითხვის ჩვევები და რამდენად საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი მოსწავლეებს გრამატიკული მასალა, მხატვრული ნაწარმოებების შინაარსი, საზეპირო ლექსები და პოეტიკის საკითხები;

ბ) ისტორიაში: რამდენად მტკიცედ იციან მოსწავლეებმა ისტორიული ფაქტები, ძირითადი ისტორიული თარიღები და შესწევთ თუ არა მათ უნარი გაერკვევინ ისტორიულ მოვლენებში;

გ) გეოგრაფიაში: იციან თუ არა საფუძვლიანად პროგრამით გათვალისწინებული მასალა და როგორ ერკვევიან რუკაში;

დ) მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბუნებისმეტყველებაში: იცი-ან თუ არა მოსწავლეებმა, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად საპროგრამო მასალა და შესწევთ თუ არა მათ უნარი ეს ცოდნა სათანადოდ გამოიყენონ პრაქტიკაში.

2. როგორ უკავშირებენ მასწავლებლები ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლებას მოსწავლეების მორალურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს, განსაკუთრებით ისტორიის, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და მხატვრული ლიტერატურის სწავლების დროს.

3. როგორ ტარდებოდა „ინსტრუქცია მოსწავლეთა დასჯისა და წახალისების შესახებ" და რა მილწევებსა და ნაკლს აქვს ამ მხრით ადგილი.

4. სკოლებში სასწავლო დარგში სოცშეჯიბრების აღკვეთისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ხუთნიშნიანი ციფრობრივი სისტემის შემოღების შედეგები.

5. რა წარმატებებია მოპოებული სკოლებში ქალთა და ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლების შემოღების შედეგად. დაახასიათეთ ცალკეული სკოლების მუშაობა, აგრეთვე აღნიშნეთ დეფექტები.

4. სკოლისა და მასწავლებლის მუშაობაზე კონტროლი და ხელ-მძღვანელობა.

ა) რამდენი სკოლა იქნა შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ წლის მანძილზე, მათ შორის რამდენ სკოლაში მოხდა ერთიანი კომპლექსური შემოწმება და რამდენ სკოლაში იქნა გამორკვეული ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა.

სკოლის მუშაობაში და ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლებაში რა ხასიათის შეცდომები და დამახინჯებები იქნა გამომჟღავნებული და რა მეთოდური ხასიათის მითითებანი მიეცა მათ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

აქვე წარმოადგინეთ მოკლე ანგარიში რაიონის პედაგოგიური კაბინეტის მუშაობის შესახებ—რა დახმარება ეწეოდა მასწავლებელს;

ბ) რა რაოდენობით ჩატარდა კონსულტაცია და საუბრები, რა სახის დახმარება გაეწია საუბნო მეთოდგაერთიანებისა და საგნობრივი კომისიების მუშაობას და სხვ.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) როგორი იყო დირექტორის (გამგის) და სასწავლო ნაწილის გამგის დახმარება და კონტროლი მასწავლებლების მუშაობაში. დაახასიათეთ რამდენიმე სკოლის კარგი დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე. ასევე დაახასიათეთ ამ მხრივ ისეთი სკოლებიც, სადაც დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ცუდად მუშაობდნენ.

5. **კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.**

ა) წლის განმავლობაში რა სახის წრეები არსებობდა სკოლაში; დაახასიათეთ მათი მუშაობა წლის მანძილზე;

ბ) წლის განმავლობაში როგორ იყო დაყენებული კლასგარეშე კითხვა; დაასახელეთ სკოლები, სადაც კარგად იყო დაყენებული სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობა და ისეთი სკოლებიც, სადაც ამ მხრივ ცუდი მდგომარეობა იყო;

გ) როგორ იყო მოწყობილი კინო-თეატრებში და სხვა სანახაობებზე მოსწავლეთა დასწრება;

დ) წლის განმავლობაში რა სახის მუშაობას აწარმოებდნენ კლასგარეშე დაწესებულებები — ბავშვთა ტექნიკური სადგური, პიონერთა და მოსწავლეთა სახლები, კლუბები და სხვ. რა მიღწევები გააჩნდათ მათ და რაში მდგომარეობდა ნაკლი.

6. **საზოგადოებრივი-სასარგებლო მუშაობა.**

ა) წლის მანძილზე რა სახისა და რა რაოდენობით მოაგროვეს საჩუქრები სკოლებმა წითელი არმიისათვის;

ბ) რა რაოდენობით შეაგროვეს სამკურნალო მცენარეები წლის მანძილზე;

გ) რა დახმარება გაეწია ფრონტელთა შვილებს და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს წლის მანძილზე (დახმარება კვებით, სურსათ-სანოვაგით, სამრეწველო საქონლით, სასწავლო ნივთებით, მათ ოჯახებში შრომითი მონაწილეობით და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გამოცდების წინასწარი შედეგები

| კლასების დასახელება | რამდენი მოსწავლე იქნა დაშვებული გამოცდებზე | მათ შორის | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 5 თებერვლისის დადგენილების განხორციელების უზრუნველსაყოფად **ვბრძანებ:**

1. შემოღებულ იქნეს 1944 წლის 1 სექტემბრიდან ქალთა და ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლება ქალაქების: გორის, ხაშურის, ფოთის, ცხაკაიას, წულუკიძის, მახარაძის, ბორჯომის, ზუგდიდის, სიღნაღის, სამტრედიის, ზესტაფონისა და თელავის შვიდწლიანი და საშუალო სკოლების 1—10 კლასებში და ამ ქალაქებში შეიქმნას ცალ-ცალკე ვაჟთა და ქალთა სკოლები (სკოლათა ქსელის ნუსხა თან ერთვის).

2. დაევალოს გორის, ხაშურის, ფოთის, სამტრედიის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მახარაძის, ცხაკაიას, სიღნაღის, ბორჯომის, თელავის, წულუკიძის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) 1944 წლის 10 აგვისტომდე დაამთავრონ ქალთა და ვაჟთა სკოლების მოსწავლეთა დაკომპლექტება;

ბ) ამავე დროისათვის შეარჩიონ და წარმოადგინონ დასამტკიცებლად ქალთა და ვაჟთა სკოლების დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები და მასწავლებლები;

გ) 20 აგვისტომდე სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო შენობები, სასკოლო ინვენტარი, შეავსონ სასწავლო კაბინეტები (ფიზიკის, ქიმიის, სამხედრო და სხვ.) და შეუქმნან სკოლებს საათანადო პირობები ნორმალური მეცადინეობისათვის.

3. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს:

ა) ქ. გორში, ხაშურში, ფოთში, ცხაკაიაში, წულუკიძეში, ბორჯომში, ზუგდიდში, თელავში, სიღნაღში, სამტრედიაში, ზესტაფონსა და მახარაძეში მიავლინოს ინსპექტორები ვაჟთა და ქალთა ცალ-ცალკე სწავლების საქმეში განათლების განყოფილებათათვის დახმარების გასაწევად;

ბ) ქალთა და ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლების განხორციელებისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა გატარების შესახებ ანგარიში წარმოიდგინოს 20 აგვისტომდე.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ვ. ძუკრაძე

ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

საქართველოს სსრ ქალაქებში ვაჟთა და ქალთა შვიდწლიანი და საშუალო სკოლებისა

№№ რიგ.	ქალაქების დასახელება	სკოლის ძველი ნომერი	სკოლის ახალი ნომერი: ვაჟთა	სკოლის ახალი ნომერი: ქალთა	სკოლების სრული დასახელება	რომელი სკოლები დაკომპლექტდება	რომელი სკოლის შენობაში იქნება მოთავსებული
1	2	3	4	5	6	7	8
1	გორი	გორის 1 საშ. სკ.	1	—	გორის ქართული ვაჟთა საშ. სკოლა	1, 2 და 4 საშ. სკ.	2 საშ. სკოლის
		„ 6 „ „	2	—	„ „ „ „ „	3, 4 და 6 „ „	6 „ „
		„ 4 „ „	—	1	„ „ ქალთა „ „	2, 4 და 6 „ „	4 „ „
		„ 2 „ „	—	2	„ „ „ „ „	1 და 4 „ „	1 „ „
		„ 3 „ „	—	3	„ „ „ „ „	3 და 6 „ „	3 „ „
2	ხაშური	ხაშურის 1 საშ. სკ.	—	1	ხაშურის ქართ. ქალთა საშ. სკოლა	1 და 2 საშ. სკ.	1 საშ. სკოლის
		„ 2 „ „	1	—	„ „ ვაჟთა „ „	1 და 2 „ „	1 „ (დროებით)
3	ფოთი	ფოთის 1 საშ. სკ.	1	—	ფოთის ქართული ვაჟთა საშ. სკ.	1, 2, 3 და 5 საშ. სკ.	პედსასწავლ.
		„ 2 „ „	—	1	„ „ ქალთა „ „	1 და 2 „ „	1 საშ. სკოლის
		„ 3 „ „	—	2	„ „ „ „ „	1, 2, 3 და 5 „ „	3 საშ. სკოლის
		„ 4 „ „	—	3	„ რუსული „ „ „	4, 5 და 1 შვიდწლ.	4 საშ. სკოლის
		„ 5 „ „	—	1	„ ქართული შვიდწლიანი სკ.	5 საშ. სკოლა	სკოლის ქუჩა
		„ 5 „ „	1	—	„ „ ვაჟთა „ „	5 საშ. სკოლა	„ „
		„ 4 „ „	2	—	„ რუსული საშუალო სკოლა	4, 5 და 1 შვიდწლ.	4 საშ. სკოლის
4	ცხაკაია	ცხაკაიას 1 საშ. სკ.	1	—	ცხაკაიას ქართული ვაჟთა საშ. სკ.	1, 2 და 3 საშ. სკ.	1 საშ. სკოლის
		„ 3 „ „	2	—	„ „ „ „ „	1, 2 და 3 საშ. სკ.	2 „ „
		„ 2 „ „	—	1	„ „ ქალთა „ „	1, 2 და 3 „ „	3 „ „

ეროვნული ბიბლიოთეკა

5	წულუკიძე	წულუკიძის 1 საშ. სკ. „ 2 „ „	— —	1 —	წულუკიძის ქართული ქალთა საშ. სკ. „ „ ვაჟთა „ „	1 და 2 საშ. სკ. 1 და 2 საშ. სკ.	1 საშ. სკოლის 2 საშ. სკოლის
6	ბორჯომი	ბორჯომის 1 საშ. სკ. „ 2 „ „	1 —	— 1	ბორჯომის ქართული ვაჟთა „ „ „ „ ქალთა „ „	1 და 2 საშ. სკ. 1 და 2 „ „	1 საშ. სკოლის 2 „ „
7	ზუგდიდი	ზუგდიდის 1 საშ. სკ. „ 5 „ „ „ 3 „ „	1 — —	— 1 2	ზუგდიდის ქართული ვაჟთა საშ. სკ. „ „ ქალთა „ „ „ „ „ „ „	1, 3 და 5 საშ. სკ. 1, 3 და 5 საშ. სკ. 1, 3 და 5 „ „	1 საშ. სკოლის 5 „ „ 3 „ „
8	თელავი	თელავის 1 საშ. სკ. „ 2 „ „ „ 4 „ „ „ 3 „ „	1 2 — —	— — 1 2	თელავის ქართული ვაჟთა საშ. სკოლა „ „ ვაჟთა „ „ „ „ ქალთა „ „ „ „ „ „ „	1 და 4 საშ. სკ. 2 და 3 „ „ 1 და 4 „ „ 2 და 3 „ „	1 საშ. სკოლის 2 „ „ 4 „ „ 3 „ „
9	სიღნაღი	სიღნაღის 1 საშ. სკ. „ 1 შვიდწლიანი	1 —	— 1	სიღნაღის ქართული ვაჟთა საშ. სკოლა „ „ ქალთა „ „	1 და შვიდწ. სკ. 1 და „ „	1 საშ. სკოლის 1 შვიდწლიანი სკ.
10	სამტრედია	სამტრედიის 1 საშ. ს. „ 2 „ „	1 —	— 1	სამტრედიის ქართ. ვაჟთა საშ. სკოლა „ „ ქალთა „ „	1 და 2 საშ. სკ. 1 და 2 „ „	1 საშ. სკოლის 2 „ „
11	ზესტაფონი	ზესტაფონის 1 საშ.სკ. „ 2 „ „ „ 3 „ „ „ 3 საქ.-საფ.„	1 2 — —	— — 1 2	ზესტაფონის ქართ. ვაჟთა საშ, სკოლა „ „ „ „ „ „ „ ქალთა „ „ „ „ „ „ „	1 საშ. სკოლა 2 „ „ 1 „ „ 3 „ „	საქ.-საფ. სკოლის 3 საშ. სკოლის 1 საშ. სკოლის 2 საშ. სკოლის
12	მახარაძე	მახარაძის საშ. სკ. „ 2 „ „ „ 3 „ „	1 — —	— 1 2	მახარაძის ქართ. ვაჟთა საშ. სკოლა „ „ ქალთა „ „ „ „ „ „ „	1, 2 და 3 საშ. სკ. 1, 2 და 3 „ „ 1, 2 და 3 „ „	1 საშ. სკოლის 2 საშ. სკოლის 3 საშ. სკოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1684

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წლის 19 ივლისი

1944 — 45 სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 22 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გავეცანი რა გურჯაანის, გორის, მახარაძის, ლანჩხუთის, საჩხერის, ზუგდიდის, ჩხარის, ჭიათურის, ზესტაფონის, ყვარელის, ჩხოროწყუს, თბილისის რაიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1944—45 სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 22 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობას, აღვნიშნავ, რომ მახარაძის (განათლების განყოფილების გამგე ლ. ჩხაიძე), ზესტაფონის (განყოფილების გამგე ა. ნიქაბაძე), ლანჩხუთის (განყოფილების გამგე გ. ჩხაიძე), ჩხოროწყუს (განყოფილების გამგე კ. ხუნტუა) და ბათუმის (განყოფილების გამგე პ. გუნცაძე) რაიონების განათლების განყოფილებებმა და ამ რაიონების ზოგიერთმა სკოლამ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ერთგვარი მიღწევები მოიპოვეს, შეიძინეს საჭირო საშენი მასალები, დაფები, მერხები, მაგიდები, კარადები, შეასრულეს ნახევარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა, წესრიგში მოიყვანეს კაბინეტები, ბიბლიოთეკები, სკოლის კარმიდამო, ზუსტად აღრიცხეს 7-დან 17 წლის ასაკის სკოლაში ჩასაბმელი მოზარდები და უკვე დაამთავრეს ზოგიერთი სასკოლო შენობის შეკეთება.

ამასთან ერთად ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის საქმეში ადგილი აქვს საგრძნობ ჩამორჩენას. სკოლაში ჩასაბმელ ბავშვთა აღრიცხვა ჭიათურისა და ყარაიის რაიონებში სუსტად მიმდინარეობს.

სასკოლო შენობების შეკეთებისა და სასკოლო დგამ-ავეჯის შეძენის საქმე მრავალ რაიონში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

მაგალითად, ყარაიის რაიონში 8 ივლისისათვის სკოლების დირექტორებმა და გამგეებმა არ იცოდნენ სკოლების შეკეთებისა და ინვენტარის შეძენისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების რაოდენობა, არც ერთი სკოლა არ იყო მომარაგებული საშენი მასალით და არც მუ-

შაობა იყო დაწყებული. ქალ. ბათუმში უნდა შეკეთდეს 12 სასკოლო შენობა, 136 დაფა, 237 მაგიდა და 240 მერხი, მაგრამ დღემდე შეკეთება არ დაწყებულა. თბილისის რაიონში გეგმით კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება უნდა 45 სასკოლო შენობას, შეძენილი უნდა იქნეს 70 დაფა და 100 მერხი, მაგრამ 15 ივლისისათვის შეკეთება არც ერთ სკოლაში არ იყო დაწყებული, ინვენტარის შეძენისათვის გათვალისწანებულ 24.000 მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 5.000 მანეთი.

სასწავლო წლისათვის მზადებას დღემდე არ შედგომიან აგრეთვე გურჯაანის რაიონის იორმუღანლოს სასოფლო საბჭოს სკოლები, გორის რაიონის 51, საჩხერის რაიონის 6, ჭიათურის რაიონის 5 და ყვარელის რაიონის ზოგიერთი სკოლა.

ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვა. მაგალითად, ყარაიის განათლების განყოფილების გამგემ არ იცის, თუ რამდენი ცალი ნახმარი სახელმძღვანელო არის შესყიდული რაიონის სკოლებში; ყვარელისა და ჭიათურის რაიონებში 3 ივლისისათვის სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა შესრულებული იყო 50%-ით. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვა აჭარის ავტონომიურ სს რესპუბლიკასა და ქარელის რაიონში.

საჩხერის, ჭიათურის, ყარაიის, ყვარელის, საგარეჯოს და ზოგი სხვა რაიონის განათლების განყოფილება არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სკოლების სითბობი მასალით მომარაგებას. ჭიათურის რაიონში სკოლებისათვის 2.300 მ³ შეშიდან დამზადებულია მხოლოდ 120 მ³ შეშა, მაგრამ ადგილზე არც ესაა მიზიდული; ასეთივე მდგომარეობაა თბილისის, გორის, ჩხარისა და ზოგ სხვა რაიონში.

დასახელებული რაიონების სკოლების უმეტეს ნაწილში საპირფარეშოები მასწავლებელთათვის ცალკე არ არის გამოყოფილი და მოსწავლეთათვის საპირფარეშოების თვლების რაოდენობა საკმაო არ არის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს განათლების განყოფილებათა გამგეებს 30 ივლისამდე დაამთავრონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერა და 1944—45 სასწავლო წლიდან უზრუნველჰყონ 7 წლიანი და წინა წლებში სკოლიდან ჩამოცილებული ყველა ბავშვის ჩაბმა სათანადო კლასებში.

2. დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთება. განათლების განყოფილებებმა უზრუნველჰყონ სასკოლო

შენობების შეკეთებისა და ინვენტარის შეძენისათვის გათვალისწინებული თანხების დროულად გადარიცხვა სკოლებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შეკეთების ხარისხს.

3. 30 ივლისისათვის დამთავრდეს ხელშეკრულებათა დადება საათანადო ორგანიზაციებთან ახალი სასკოლო ინვენტარის შეძენაზე და თითოეული სკოლა, რომლის ახალი ინვენტარით შევსებაა გათვალისწინებული, 15 აგვისტომდე იქნეს უზრუნველყოფილი მერხებით, დაფებით, მაგიდებით, კარადებითა და სხვა მოწყობილობით.

4. ყარაიის, ყვარელის და ჭიათურის რაიონების განათლების განყოფილების გამგეებმა და აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარმა 1 აგვისტომდე უზრუნველჰყონ ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის მთლიანად შესრულება.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის გათვალისწინებული თანხები დროულად გადაურიცხონ სახელგამს, ხოლო სახელგამის თვალსაჩინო ხელსაწყოების განყოფილებამ უზრუნველჰყოს დაკვეთის მიხედვით სკოლებისათვის კაბინეტების გადაგზავნა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.

6. განათლების განყოფილებებმა 30 ივლისამდე შეისწავლონ ცალკე სკოლების სათბობით მომარაგების მდგომარეობა, ჩამორჩენის გამოსწორების მიზნით დასვან საკითხი რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე და უზრუნველჰონ სკოლების სათბობით მომარაგების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 22 მაისის დადგენილების დროულად და მთლიანად შესრულება.

7. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ აგვისტოს თვეში ადგილზე შეამოწმოს განათლების განყოფილებებისა და სკოლების მიერ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგების შესახებ მოახსენოს საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ვ. ძუბრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1951

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1944 წ. 8 აგვისტო

შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ერთგვარი წარმატების მიუხედავად, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს რესპუბლიკის მრავალ სკოლაში — ბოლნისის, ყვარლის, ბორჩალოს, წითელ-წყაროს, ქობულეთის, სტალინირისა და აფხაზეთის ასსრ-ის გუდაუთისა და სხვა ზოგიერთ რაიონში. ასე მაგალითად, ბაშკიჩეთის რაიონის სკოლების შეკეთებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ 50.000 მანეთიდან 25 ივლისისათვის მხოლოდ 6.000 მანეთი იყო ათვისებული, 63 სასკოლო შენობიდან კი 10 სასკოლო შენობაში იყო დაწყებული შეკეთება. ქობულეთის რაიონში 35 სკოლიდან მიმდინარე შეკეთება 25 ივლისამდე მხოლოდ 4 სკოლაში დამთავრდა; კაპიტალური შეკეთება უნდა ჩატარებულიყო 6 სკოლაში, მაგრამ დღემდე არცერთ მათგანში არ არის დამთავრებული სამუშაოები. წითელ-წყაროს რაიონში წითელ-წყაროს რუსული საშუალო სკოლის, ზემო ქედის საშუალო და სხვა სკოლების შეკეთება ჯერაც არ დაწყებულა. სტალინირის რაიონის ტბეთის, ხეთაგურისა და სხვა სკოლების შეკეთება დღემდე არ მიმდინარეობს. ბოლნისის რაიონში 25 ივლისისათვის სკოლების შეკეთება დაწყებულ იყო მხოლოდ 9 სოფელში, მაშინ როდესაც სულ შესაკეთებელია 40 სკოლა. აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმე საფრთხის წინაშეა, რადგან დღემდე ფაქტიურად თითქმის არაფერია გაკეთებული, ხოლო სოხუმის რაიონში გეგმით გათვალისწინებული 18 სკოლიდან ამჟამად შეკეთება მიმდინარეობს მხოლოდ 7 სკოლაში. სავსებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე მზადება ყარაიისა და ბორჩალოს რაიონებში.

დასახელებულ რაიონებში სკოლის ასაკის ბავშვთა აღწერას სათანადო ყურადღება არ ექცევა. განათლების განყოფილებებს არ მოეპოვებათ ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ბავშვი უნდა იქნეს ახალ სასწავლო წელს მიღებული, ვინაიდან არ არის დაზუსტებული, თუ ცალკე სასკოლო უბანში რამდენი სასკოლო ასაკის ბავშვი ცხოვრობს, რამდენი ბავშვი იყო სკოლის გარეთ დარჩენილი და რამდენი უნდა დაუბრუნდეს სკოლას სექტემბრისათვის.

საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების ბევრ სკოლაში დღემდე თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს ზამთრის პერიოდისათვის შეშით მოსამარაგებლად.

დღემდე არ არის შესრულებული აგრეთვე სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა ვანის, თეთრი-წყაროს, ბორჩალოს, თელავის, ცხაკაიას, ზუგდიდისა და ზოგიერთ სხვა რაიონებში.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორების მიზნით **ვბრძანებ**:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ, ყარაიის, ბოლნისის, ყვრალის, ბორჩალოს, წითელ-წყაროს, ბაშკიჩეთის, ქობულეთის, გუდაუთისა და სოხუმის განათლების განყოფილებათა გამგეებმა 10 აგვისტომდე შეამოწმონ თითოეული სკოლის შენობისა და სკოლის ინვენტარის შეკეთების მდგომარეობა, ზუსტად გამოარკვიონ, თუ რა უშლის ხელს შენობისა და ინვენტარის დროულად შეკეთების საქმეს, საჭიროების შემთხვევაში საკითხი დასვან რაიონულ ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე და მათი დახმარებით მიიღონ სათანადო ზომები, რათა 25 აგვისტოსათვის ყველა სკოლა იქნეს შეკეთებული.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა სკოლის დირექტორების (გამგეების) მეშვეობით და სასოფლო (საქალაქო) საბჭოების დახმარებით 20 აგვისტომდე შეამოწმონ ცალკე უბნების მიხედვით სკოლის ასაკის ბავშვებისა და სკოლიდან ჩამოშორებულ მოსაწვლეთა აღრიცხვის მდგომარეობა, დააზუსტონ აღწერის სიების სისწორე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ 7-წლიანი ბავშვების აღრიცხვას, სკოლებში მათი ჩარიცხვისათვის სათანადო საბუთების გაფორმებას და საქმე იმგვარად წარმართონ, რომ 10 აგვისტოსათვის მთლიანად იყოს დამთავრებული სკოლის ასაკის ბავშვთა სიების დაზუსტება.

3. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) დადგენილი დროისათვის უზრუნველყონ სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლებში ჩასაბმელ მოზარდთა აღრიცხვა და ამ სკოლათა ქსელის საბოლოდ დაზუსტება;

ბ) ა. წ. 20 ოქტომბრამდე გამოჰყონ მათთვის სათანადო სამეცადინო ოთახები, დააკომპლექტონ ეს სკოლები მასწავლებელთა კადრებით, უზრუნველყონ მოსწავლენი წიგნებითა და სხვა სასწავლო ნივ-

1/ეგ. 43/39 44-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებით თანაბრად მასობრივი სკოლებისა და ყველა პირობები შექმნან იმისათვის, რომ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში მეცადინეობა ნორმალურად დაიწყოს 1 ნოემბერს.

4. ვანის, თეთრი-წყაროს, ბორჩალოს, თელავის, ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ყარაიის, ბოლნისის, ზუგდიდის, ლაგოდეხის განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელო წიგნების შესყიდვის გეგმის შესასრულებლად. ამასთანავე ყველა განათლების განყოფილების გამგემ შეამოწმოს ადგილობრივ სავაჭრო წერტებში არსებული სახელმძღვანელო წიგნების, რვეულების, ფანქრების, კალმისტრების, კალმებისა და სხვა სასწავლო ნივთების მარაგის რაოდენობა და უზრუნველჰყოს ამ მარაგის სასწავლო წლის დაწყებისათვის უკლებლივ შენახვა.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა პარადად შეამოწმონ სკოლების მდგომარეობა სათბობი მასალის მომარაგების დარგში, დაუკავშირდნენ კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს, თვალყური ადევნონ შეშის დამზადების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში საკითხი დასვან მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების წინაშე.

6. ღაწყებითი და საშუალო სკოლისა, საგეგმო-საფინანსო და კადრების სამმართველოებმა სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ჩამორჩენილ რაიონებს მიამაგრონ ინსპექტორები მათთვის ადგილზე დახმარების გასაწევად, 20 აგვისტომდე შეამოწმონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა დასახელებულ რაიონებში და შედეგები მოახსენონ განსახკომის კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე